

ინტერნეტ ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში "ხელშეკრულების") 8.5 პუნქტის შესაბამისად სს "თიბისი ბანკი" გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილების (დამატების) შეტანას:

შეიცვალოს ხელშეკრულების 8.11 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"8.11 მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო ან ბანკის მიერ შერჩეული არბიტრაჟი ამ ხელშეკრულების 8.17 პუნქტში მოცემული საარბიტრაჟო შეთანხმების შესაბამისად. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულების 12.3.4, 12.3.6 ქვეპუნქტებით და მე-14 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსარულებლად."

ხელშეკრულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 8.17 ქვეპუნქტი:

"8.17 მხარეები თანხმდებიან, რომ:

- 8.17.1 ბანკს უფლება აქვს, ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე, ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, უთანხმოება ან მოთხოვნა, მათ შორის ამ ხელშეკრულების (შეთანხმების) შესრულების, დარღვევის, შეწყვეტის, ან ბათილობის საკითხი, განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადასცეს "თბილისის საარბიტრაჟო-სამომრიგებლო პალატას", "თბილისის სამედიაცორო სასამართლო-მუდმივმოქმედ არბიტრაჟს "მეტეხი", "თბილისის საარბიტრაჟო პალატას", "დამოუკიდებელ საარბიტრაჟო სასამართლოს" ან ბანკის მიერ შერჩეულ სხვა ნებისმიერ კერძო არბიტრაჟს;
- 8.17.2 არბიტრაჟში საქმეს განიხილავს ერთი არბიტრი, რომელსაც დანიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე;
- 8.17.3 საქმის განხილვის ადგილი იქნება თბილისი;
- 8.17.4 საქმის განხილვის ენა იქნება ქართული;
- 8.17.5 საარბიტრაჟო წარმოება და გადაწყვეტილების გამოტანა შეიძლება განხორციელდეს როგორც ზეპირი განხილვით, ისე წარდგენილი მასალების საფუძველზე (გამარტივებული წარმოების გზით);
- 8.17.6 საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ვადა განისაზღვრება 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით საარბიტრაჟო სარჩელის (პრეტენზიის) წარდგენის მომენტიდან;
- 8.17.7 არბიტრაჟის სხდომის ჩატარების შესახებ მხარეს უნდა ეცნობოს სულ ცოტა ერთი დღით ადრე;
- 8.17.8 შეტყობინება შესაძლებელია განხორციელდეს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით (წერილობით, ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით და სხვა);
- 8.17.9 საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის (პრეტენზიის) უზრუნველყოფის ტონისძიების გამოყენების შესახებ;
- 8.17.10 არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის (პრეტენზიის) უზრუნველყოფის ტონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და მათი აღსრულება დასაშვებია არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის (წარწერის) საფუძველზე სასამართლოსთვის მიმართვისა და სასამართლოს მიერ ცნობის (აღიარების) გარეშე."

ხელშეკრულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 12.5.5 ქვეპუნქტი:

"12.5.5 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი მუშაობს საწარმოში/ორგანიზაციაში, რომელთანაც ბანკს დადებული აქვს ხელშეკრულება სახელფასო პროგრამული მოდულით მომსახურების შესახებ, ამ ხელშეკრულებით კლიენტი/ბარათის მფლობელი საწარმოს/ორგანიზაციის დირექტორს (წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირს) ანიჭებს უფლებას კლიენტის/ბარათის მფლობელის სახელით ხელი მოაწეროს და წარუდგინოს ბანკს განაცხადი პლასტიკური ბარათის განახლების შესახებ. საწარმოს/ორგანიზაციის დირექტორს (წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირს) უფლება აქვს ამ პუნქტში აღწერილი უფლებამოსილება გადასცეს (გადაანდოს) საწარმოს/ორგანიზაციის ბუღალტერს ან სხვა პირს."

ხელშეკრულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 15.2.3 ქვეპუნქტი:

"15.2.3 ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს საპროცენტო სარგებლის განაკვეთი და სარგებლის დარიცხვის მეთოდი, რის შესახებაც ბანკი, მეანბრის ინფორმირებას უზრუნველყოფს ცვლილებამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე ფილიალების ოფისებში ან ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge შესაბამისი ინფორმაციის განთავსების მეშვეობით."